სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. მცხეთა 18 ივნისი 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია რუხაძე - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ხვისტანი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი- კომისიის წევრი;

ეთერ გელაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

დავით ოსეფაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი;

ედუარდ ჯალაღონია - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქალაქ მცხეთაში მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო განსახორციელებელ ცვლილებებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 08 ივნისს გამოცხადებული N1687 კონკურსის საკონკურსო პირობების ცვლილების დამტკიცება.

კომისიის წევრებმა განიხილეს 2015 წლის 08 ივნისს გამოცხადებული N1687 კონკურსის: „ქალაქ მცხეთაში მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო განსახორციელებელ ცვლილებებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა"- საკონკურსო განცხადების N15 პუნქტი, რომლის მიხედვით კონკურსანტები გამარჯვებულის გამოსავლენად კომისიას უნდა შეეფასებინა სამი კრიტერიუმით :

- ესკიზი, სქემა და განმარტებითი ბარათი -0. 3
- სამშენებლო სამუშაოების სავარუდო ღირებულება-0.5
- საკონკურსო წინადადების ფასი-0.2

თუმცა, აღნიშნულმა ჩანაწერმა გამოიწვია გარკვეული უკმაყოფილება კონკურსანტების მხრიდან და აღნიშნული ჩანაწერი მიიჩნიეს არასამართლიანად.

განხილვის შედეგად, პოზიციების შეჯერების შემდეგ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკონკურსო განცხადებაში ცვლილების შეტანა.

კომისიამ დაადგინა: საკონკურსო განცხადების N15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

- ესკიზი, სქემა, განმარტებითი ბარათი და სამშენებლო სამუშაოების სავარუდო ღირებულება-0. 7
- საკონკურსო წინადადების ფასი-0.3

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის თავმჯდომარე:

ი. რუხაძე

კომისიის წევრები:

გ. ხვისტანი

დ. ოსეფაშვილი

ე. გელაშვილი

ე. ჯალაღონია